პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

28 ივლისი
ხუთშაბათი

1919 მოსკოვში საბჭოთა მოედანზე გახსნეს საბჭოთა კონსტიტუციის ობელისკი, პირველი საბჭოთა ძეგლი—თავისუფლების [illegible].

1918 გადატრიალების დროს უკრაინის რადის წევრებმა დააპატიმრეს გერმანელების მიერ გამოგზავნილი ორი მ[illegible]ტარებელი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № სხვათა №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრ. [illegible] ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

დღიური:

— ტფილის გუბერნიის გლეხები მხურვალედ [illegible] დამშეულებს და გადასდებენ მათთვის [illegible] პურს.

— რუსეთის სახკომსაბჭომ გადასდო 12 მილი. მან. საზღვარ გარეთ თესლეულობის საყიდლათ დამშეულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 120 ხუთშაბათი, 28 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 28 ივლისი, 1921 წ. № 120

პროლეტარიატის გულითადი თანხმობა

ცხოვრების ერთად ერთი ბატონი ბურჟუაზია იყო. ის ასვამდა თავის კლასობრივ დროშას ყოველგან, მასზე და მის ძალაუფლებაზე იყო მიმართული უმაღლესი ე. წ. კულტურული სახელმწიფოების ხელმძღვანელთა პრინციპი. დღეს ბურჟუაზიული სახელმწიფოები და მათი მთავრობები ერთიმეორეს უკავშირდებიან სხვადასხვა ხელშეკრულებით და შეთანხმებით, რომლებსაც ერთი ბუკ-ზურნით და ზეიმით ამცნობენ მთელს ქვეყნიერებას.

ვინ არ იცის თუ როგორ გაჰყვიროდა და გაიძახოდა ე. წ. ანტანტის სახელმწიფოების მეთაურები და მათი ლაქიები ხალხის მასებში თავიანთ შორის გულითადი თანხმობის ჩამოგდების გამო. შოვინიზმისა და [illegible] მორალით გამსჭვალული მისწრაფებები აღძრავდნენ ვითომ მათ, როცა კავშირს კრავდნენ: ხალხთა განთავისუფლება, „პატარა" ერების [illegible] და სხვა ამგვარი რამე აინტერესებდათ ვითომ მათ, როცა გერმანიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. მაგრამ დღეს უკვე გამჟღავნებული და ნიღაბ აგლეჯილი დგას ნაძირალა იმპერიალისტები ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე. დღეს ყველა ხედავს, რომ მათ შორის თუ რაიმე განსხვავებაა, ეს განსხვავება სხვა და სხვა ლოთის, ცბიერობის, გაიძვერობის, ვერაგობის და მძარცველობის მატარებელ ყაჩაღთა შორის. არც ერთი მაღალი ზნეობა და მორალი არ არის მთელს მათ ნამოქმედარში. მათი „გულითადი შეთანხმება" (Entente cordiale) მთლიანად ავაზაკთა შეთანხმებაა და მოწოდება საშინელ ბოროტმოქმედებათა ჩასადენად და მსხვერპლის გასაყოფად. ბურჟუაზიის მორალი ბედ-ილბლით ოქროზეა მოქარგული, მას ოფლის და სისხლის სუნი ასდის. ჩამავალი, გადაშენების გზაზე შემდგარი კლასის ზნეობრივი დონე არც შეიძლება სხვანაირი იყოს.

სამაგიეროთ, ამომავალ კლასს, კლასს მშრომელებისას მოაქვს ახალი ზნეობა. გამარჯვებული პროლეტარიატი არ სწერს მსხვილ ტომებს თავისი მორალის შესახებ, ის თვით თავის საქმიანობაში, სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან რევოლიუციონურ თანამშრომლობაში ახორციელებს თავის ზნეობრივ თვისებას. გადახედეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ ცნობებს იმ დახმარების შესახებ, რომელიც გვიწევს და გვიწევენ ჩვენი მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები და ჩვენში მდგომი რუსეთის წითელი ლაშქარი, და სთქვით: შესაძლებელია თუ არა რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ასეთი რამ? რომელი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რაგინდ „კულტურული" არ იყოს ის და გულით და შეთანხმებით შეკრული მეორე ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, სრულიად უსასყიდლოთ მისწოდებს მეორეს საჭირო რაოდენობის პურსა, ნავთსა, რომელი ბურჟუაზიული სახელმწიფო დაუთმობს მეორეს უმდიდრეს თავის სამეურნეო ადგილებს ისეთი პირობებით, როგორც საბჭოთა აზერბეიჯანის და საბჭოთა საქართველოს შუა დადებული ხელშეკრულებაა? რომელ ჯარს, რაგინდ რევოლიუციონური არ ყოფილიყოს ის, გამოუკვებია ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელი ნაწილი?

ეს შესძლებია მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოებს, ეს შესძლებია მხოლოდ პროლეტარულ წითელ ჯარს.

ვიწრო ეგოიზმი და ნაციონალიზმი ახასიათებდა და ახასიათებს ძველ ქვეყანას და მის გულითად შეთანხმებებს, სრული ინტერნაციონალიზმი, სიტყვით და საქმით, ახასიათებს ახალ ქვეყანას, ქვეყანას გამარჯვებულ მუშა-გლეხებისას.

სასურსათო ყრილობის გამო

მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება სასურსათო მდგომარეობისაკენაა მიქცეული და მუშათა და გლეხთა მთავრობაც სწორედ ამას ისახავს მიზნათ, რომ ხალხს დროზე მიეშველოს, დროზე დაადოს მის იარას მალამო, რათა ის არ დაჩიავდეს [illegible] და სულიერ-ხორციელათ არ დაეცეს ხალხი.

დღეს გამართული სასურსათო ყრილობა მთელი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია.

მისი დღის წესრიგიდან თქვენ ხედავთ, თუ რა კითხვებია წინ წამოყენებული. ეს კითხვები კარგა ხანია მუშავდებოდა რუსულ და ქართულ მწერლობაში, ამ უკანასკნელ კვირებში, პრაქტიკულათ შესრულებასაც შეუდგნენ კიდეც რუსეთის ფარგლებში; და აი ახლა დგება დრო, რომ ჩვენც გავატაროთ ცხოვრებაში ის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელმაც უნდა მოაშუშოს ჩვენი ავადმყოფი ეკონომიური ცხოვრება და საშუალება მოგვცეს ვიხსნათ ხალხი შიმშილისა და გაჭირვებისაგან.

საფუძველი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა როგორც რუსეთში ისე ჩვენში არის სასურსათო გადასახადის ნატურით აკრეფა და საქონლის პირდაპირი გადაცვლა-გადმოცვლის წარმოება.

წინათ იყო დაბეგვრის სისტემა შემოღებული და ეს იწვევდა დიდ უკმაყოფილებას გლეხთა მასებში, მით უფრო, რომ ეს ხდებოდა ძალდატანების საშუალებით. ამ სისტემით მოსპობილი იყო თავისუფალი კერძო ვაჭრობა.

დღეს დაბეგვრის ნაცვლათ შემოღებულია გადასახადი სოფელზე ნატურით, რომელიც მან უნდა მოკრიფოს იმ მეურნეებისაგან, რომელთაც ზედმეტი სურსათი მოეპოვებათ, და ეს მათ გადაიხდიან შეძლების დაგვარათ. ღარიბნი ასეთი გადასახადისაგან სრულ თავისუფლდებიან, ვინაიდან მათ ზედმეტი სურსათი არ მოეძებნებათ. ღარიბნი წინათაც თავისუფალნი იყვნენ თავისთავათ, მაგრამ ყველა შუათანა შეძლების გლეხი, რომელთა რიცხვი რუსეთშიაც და მით უმეტეს ჩვენში გაცილებით მეტია, ვიდრე ღარიბი, იძულებული იყო დაბეგვრის სისტემის ძალით მთელი თავისი ზედმეტი სურსათი სახელმწიფოსათვის მიეყიდა მცირე ფასებში.

დღეს კი სულ სხვაა: ისინი თავის ზედმეტ მოსავლიდან რესპუბლიკის სასარგებლოთ გადაიხდიან მხოლოთ რამდენიმე პროცენტს, დანარჩენს კი გაჰყიდიან როგორც სურთ და სადაც უნდათ.

ეკონომიური პოლიტიკის ამ მთავარ საფუძვლის შედეგია, რა თქმა უნდა, კერძო ვაჭრობის თავისუფლება და მისი ამ ნიადაგზე გაჩაღება.

მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკით საშუალება ეძლევათ სპეკულიანტებს თავიანთ ნებაზე ასწიონ სურსათის ფასები და მიმართონ ჩვეულებრივ ხრიკს —საქონლის მიმალვას.

არა, მთავრობა უსასტიკეს ზომასაც არ დაიშურებს მათ წინააღმდეგ და ეცდება მიაღწიოს იმას, რომ დარჩენილი საქონელი თავისუფალ ბაზარზე საჭიროებით იქნას გამოტანილი და სამართლიან ფასებში გაყიდული.

ყოველივე ამას საფუძვლათ უნდა დაედვას ერთის მხრით სწორი უტყუარი სასურსათო აღრიცხვა [illegible], სასურსათო სტატისტიკა, ხოლო მეორე მხრით გადასახადის ნატურით მომკრეფი მძლავრი და მიზანშეწონილი—პრაქტიკული აპარატი.

სტატისტიკური და მომკრეფი ორგანიზაციების მოწყობა, როგორც სამაზრო ისე სათემო ფარგლებში მიგვაჩნია ჩვენ უმთავრეს საქმეთ, რომ სისწორით ჩატარდეს ჩვენში ახალი ეკონომიური სასურსათო პოლიტიკა.

და რომ ეს მოხდეს ამისთვის საჭიროა ისევ და ისევ კომუნისტურმა პარტიამ იკისროს ამ საქმის ხელმძღვანელობა, ინიციატივა და მასში პრაქტიკული მონაწილეობაც. აი ასე მოიქცა რუსეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

მარტო სასურსათო კომისარიატს და ადგილობრივ რევკომების ამარა ეს საქმე, ცხადია, თავის შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს და ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა კომუნისტებს, რომ დროზე შეუდგნენ ენერგიულ ორგანიზაციულ მუშაობას ამ ნიადაგზე. პროპაგანდა—აგიტაციის გაჩაღება ახალი ეკონომიური—სასურსათო პოლიტიკური კამპანიის ჩასატარებლათ, აი რა უნდა დაისახონ მათ დღეს მიზნათ.

ეკონომიური კრიზისის დაძლევა ახალი სასურსათო პოლიტიკის საშუალებით, აი ჩვენი სადღეისო ლოზუნგი.

საბჭოთა რუსეთის პრესა

დიდები და პატარები.

(მცირე ანტანტას შესახებ)

პატარა ანტანტა საბოლოოთ შეკავშირდა. მასში შედიან ჩეხოსლოვაკია, რუმინია, იუგოსლავია და პოლონეთი. ესენი აშკარა აგენტები არიან დიდი ანტანტის და ცხადია, რომ მათ შორის უმთავრეს როლს თამაშობს პოლონეთი, როგორც ყველაზე უფრო ძლიერი და იმპერიალიზმით შეპყრობილი. ყველა ესენი იქნებიან ანტანტის მსახურნი, მაგრამ ამათგან ერთად ერთი მათგანი დახმარებიან პოლონეთის იმპერიალისტებს. თეთრი პოლონეთი ცდილობს შეიქნეს ყველა მხრიდან დაზღვეული.

წარმოშობილი დიდი ანტანტისაგან, პატარა ანტანტა დღიდან თავის გაჩენისა აწარმოებს იმავე კაენის საქმეს, რომლისთვისაც ცნობილია მისი მშობელი. ჩვეულებრივ ანდაზის არ იყოს „რასაც დიდები შვრებიან, იმას პატარები აჰყვებიან". ოფიციალურათ მიზნათ ახალი საერთაშორისო კავშირისას აცხადებენ აღმოსავლეთ ევროპის დაცვას და მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. ამავე ამტკიცებენ, რომ ასეთ მიზანს ისახავენ ისინი ბალკანეთის მიმართაც. არ ვიცით—რატომ მხოლოთ ბალკანეთის მიმართ. ბალტის მხარე? ნუ თუ ცდა იმის შესახებ, რომ პატარა ანტანტასთან ერთათ შექმნილიყო მისთვის დამორჩილებული კიდევ უფრო მცირე ბალტიის ზღვის ანტანტა, შემდგარი ესტონიისაგან, ლატვიის, ლიტვისა და ფინლიანდიისაგან, ნუ თუ ეს ცდა საბოლოოთ დამარცხდა? ასე ეტყობა. ეს ცდა უეჭველათ განხლდება მომავალშიაც. ანტანტა მანამდის არ მოისვენებს, სანამ საბჭოთა რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის არ გაავლებს შეუწყვეტელ კედელს დაწყებულ ბალტიის ზღვიდან ან ოკეანიდან შავ და ადრიატის ზღვამდე. ჯერ-ჯერობით იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ არა სრული რკალით, რომელსაც წარმოადგენს პატარა ანტანტა.

„აღმოსავლეთ ევროპის დაცვა!" ვისგან იცავენ მას? ცხადია ვისგან: საბჭოთა რუსეთისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ევროპის დაცვის შესახებ და ისინი არა საბჭოთა რუსეთისაგან, რომელსაც აზრათ არა აქვს ვინმეს შეუტიოს, არამედ ლაპარაკია ბოლშევიკური იდეების გავრცელებაზე მთელ ქვეყნის სიტყვის მასალათ, ვინაიდან ყველამ იცის, რომ დიპლომატიური კომბინაციებით შეუძლებელია იდეების გავრცელების შეჩერება, მით უმეტეს, რომ კომუნიზმის ეს დაწყევლილი იდეები ყველგან იჩენენ თავს სრულიად დამოუკიდებლათ მოსკოვის ამა თუ იმ „ინტრიგებისა" და „ოქროსა." მაშ, საქმე ამაში არ არის. მაშ საქმე დაცვაში კი არა, შეტევაშია. ესაჭიროება თუ არა თვით მცირე ანტანტას ეს შეტევა? ეს ფრიად საეჭვოა. მაგრამ სამაგიეროთ საჭიროა ეს მისი პატრონებისთვის, და როდესაც მათთვის საჭირო გახდება, ისინი აამოძრავებენ პოლონელ „ლეგიონერებსაც", რუმინელ [illegible], ჩეხოსლოვაკ ლეგიონერებსაც, შეიძლება უნგრეთელ „გონვედებს" და სხვა სალდათებს, რომლებსაც სურსათის მაძებარი პატარა მთავრობები ისევე ყიდიან დღევანდელ ანტანტაზე, როგორც გერმანელი თავადები ყიდდნენ თავის დროს ინგლისზე თავის „ჰესსენელებს" და სხვა გრენადერებს.

რაც შეეხება „მშვიდობიანობის უზრუნველყოფას", ჩვენ კარგათ ვიცით თუ რას ნიშნავს ეს იმპერიალისტების ენაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთნაირი სიმართლე იმალება ამ სიტყვებში. მცირე ანტანტის მონაწილეთათვის დღეს დღეობით მშვიდობიანობა მართლაც ესაჭიროებათ რომ შეინარჩუნონ დაპყრობილი ადგილები და მდგომარეობა. მაგრამ ეს მშვიდობიანობა მათგან არ არის დამოკიდებული. შექმნილნი დიდი ანტანტის მიერ, მცხოვრებნი მისი მოწყალებით, ისინი სრულიად მისგან არიან დამოკიდებულნი და ასრულებენ მის სურვილს. და როდესაც დიდი ანტანტა უბრძანებს, პატარაც დაიძვრება საომრად. ისევ და ისევ ვის წინააღმდეგ? ავსტრიისა და უნგრეთის წინააღმდეგ?—კი, მაგრამ ესენი ხომ არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. გერმანიის წინააღმდეგ? მაგრამ მისგანაც არ მოელის მალე არავითარი საფრთხე „დასავლეთ ევროპის" მშვიდობიანობის საქმეს. მისი მიზანია დღეს როგორმე სული შეინარჩუნოს, არა თუ ახალ დაპყრობას წარმოიდგენს მას შემდეგ რაც ანტანტამ მას სისხლი ადინა. მაშ ვის წინააღმდეგ დაიძვრის საომრათ მცირე ანტანტა? როგორც არ უნდა ატრიალო საკითხი დაბოლოს, მაინც აშკარა ხდება, რომ მცირე ანტანტა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ არის შექმნილი. ეს განსაკუთრებული სიაშკარავით ეტყობათ რუმინიას და პოლონეთს, რომელთა ანტირუსული მისწრაფებანი სრულიად უთანხმდება საფრანგეთის და ინგლისის ანტიბოლშევიკურ სიძულვილს.

თავისთავათ მცირე ანტანტა რაზომ იმპერიალისტური სულისკვეთებითაც უნდა იყვნენ მისი მთავრობები, ვერ შექმნიდა საფრთხეს საბჭოთა რუსეთისათვის. მაგრამ საქმე სულ სხვანაირ სახეს იღებს, თუ შევხედავთ მას როგორც ფორპოსტს, მოწინავე რაზმს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისას, რომელნიც მისი წყალობით განამტკიცებენ თავისი ბატონობას ევროპის მატერიკზე და სპეციალურათ მის აღმოსავლეთის ნაწილში. ზურგ გამაგრებული ინგლისისა და საფრანგეთის და შეიძლება შეერთებული შტატების მიერაც, ეს პატარა მტაცებელ მხეცების კავშირი შეიძლება საშიში შექნეს ზოგიერთ შემთხვევაში. საბედნიეროთ ასეთი შესაძლებელი საფრთხის წინააღმდეგ ჩვენი დროის სინამდვილე ამზადებს საწინააღმდეგო ძალას.

იმპერიალისტური მტაცებლების მცირე ანტანტის შედგენის დროს იბადება მეორე ანტანტა მუშების, კომუნისტური ინტერნაციონალი. და სწორეთ ეს პროლეტარული ანტანტა იკიდებს ფეხებს იმ ქვეყნებშიაც, რომლებისგანაც საფრანგეთის დიპლომატიამ შექმნა დაბოლოს თავის მორჩილი მცირე ანტანტა. ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტები შეადგენენ უმთავრეს პოლიტიკურ ძალას, იუგოსლავიაში იგივე კომუნისტები წარმოადგენენ დიდ ძალას, პოლონეთში ის შექმნა მნიშვნელოვანი და იზრდება კიდევ ყოველ დღე. მხოლოთ რუმინიაშია ის კიდევ სუსტი, მაგრამ იქაც გაიზრდება, თუ მოედო სოფელს (ხოლო ამისთვის იქ ნიადაგი არის). ბალტიის ქვეყნებშიაც ის საყურადღებო ფაქტორია. აქვე უნდა მივუმატოთ ბოლგარია, რომლის ჩამოსვლაზე თავის რიგებში მცირე ანტანტა უარს არ იტყოდა. ამნაირათ იქნება ისეთი სურათი, რომ რუსეთის წინააღმდეგ აღმართულ ფრონტის ზურგში იზრდება მეორე ფრონტი, ფრონტი რევოლიუციონური პროლეტარიატის, რომელიც საჭირო მომენტში რეალურ დახმარებას აღმოუჩენს საბჭოთა რესპუბლიკას.

აი რატომ შეუძლია დაწყნარებული იყოს საბჭოთა რუსეთი ახალი მტრის გამოჩენის გამო. მცირე ანტანტა ისევ წარმოადგენს უკანასკნელ სიტყვას ისტორიისას, როგორც მისი მშობელი დიდი ანტანტა. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მშრომელ მასებს. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მესამე კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალის შეაკავშირებს ამ მასების ავანგარდს ისეთ მძლავრ პროლეტარულ ანტანტაში, რომელიც შესძლებს საჭირო მომენტში უკუ ისროლოს დიდი და პატარა მტაცებლების იერიშები და დაიცვას ციხე-სიმაგრე საერთაშორისო სოციალიზმის.

„პრავდა".

როგორი „პატრონი" უნდათ?

(„სოციალისტ"-ფედერალისტების საბჭოთა აფხაზეთის შესახებ წერილების გამო).

რას წარმოადგენს „სოციალისტ"-ფედერალისტების „პარტია"?—უნიადაგო ინტელიგენტების ჯგუფს, რომლებიც მეშჩანობაზე სპეკულაციას ეწევიან, რომლითაც პოლიტიკური კარიერის გაკეთება სურთ. მათი იდეოლოგია, რაღაც საკვირველი შეზავებაა ცრუ სოციალიზმისა ბინძურ მეშჩანურ შოვინიზმისა.

საერთაშორისო დიდ რევოლიუციონურ ეპოქაში, ასეთ პარტიასთან კამათი, თავის დამცირებას ნიშნავს.

ამ საცოდავმა ხალხმა, ისე გაიგო საბჭოთა მთავრობის მათდამი გულგრილი განწყობილება, თითქო ისინი რაღაცა ძალას წარმოადგენდნენ, რომელსაც საბჭოთა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს. ამით გათამამებულებმა, საბჭოთა მთავრობის და კომუნისტების წინააღმდეგ „ქაქახილი" დაიწყეს თავის უკანასკნელ გაზეთის 119 №-ში.

ამ მხრივ, საინტერესოა 119 №, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხება. ამ ჯგუფის ლიდერების თავში, როგორც ჩანს, ამ ბოლო ხანს, მომწიფულა „გენიალური" სტრატეგიული გეგმა, დაიწყონ ფარული შეტევა საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, საბჭოთა აფხაზეთის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებით.

საინტერესოა ვკითხოთ: საიდან აქვსთ ამ ხალხს ამდენი გამბედაობა, რომ 4 გვერდი მშვენიერი [illegible] ქაღალდისა აავსონ ქილიკით და წერილებით? წერილებით—რომლებიც აშკარათ მიმართულია საზოგადოთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ალბათ ეს მეშჩანები თავისი არშინით ზომავენ კომუნისტებს და ვერ მიმხვდარან, რომ საქართველოს რევკომისათვის ადვილი გასაგებია თუ ვისკენ არის მიმართული აფხაზეთის კომუნისტების ლანძღვა-გინება!

მაგრამ ვკითხოთ რას სწერენ ფედერალისტები? რა უნდებათ მათ?

მიზეზი მათი აფხაზურებისა არის ვიღაც „სოხუმელ ქართველის" კორესპონდენცია, რომელიც ისტერიული წრიპინით თავდება: „აქაური ქართველები უპატრონონი ხომ არა ვართ? დაგვეხმარეთ საჩქაროთ. მეტი მოთმენა შეუძლებელია"-ო.

თუ ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევთ ისტორიულ და სტატისტიკურ საბუთებს, როგორიც არის მაგალითად ის, რომ აფხაზები 30 ათასიაო და მათი ენა მეგრული ენისაგან ქართულ ენათაგანიაო—დაგვრჩება [illegible] ისტერია და ცილის წამება საბჭოთა აფხაზეთის წარმომადგენლებზე.

მოვიყვანთ წერილებიდან რამოდენიმე მაგალითს: ვიღაც ომეგა სწერს, რომ „საქართველოსაგან განთავისუფლების აღსანიშნავად ძეგლიც კი აღუმართავთ" აფხაზეთშიო. ომეგას „შეშლია",—ეს 4 მარტის ძეგლია, საბჭოთა აფხაზეთის აღდგენის აღსანიშნავათ. შემდეგ: „პირადი თავისუფლებით... დაბრმავებული... ემონებიან ახალ ბატონს, ოღონდ მთავარი კარგ ხედენ... და შედეგად შეუყვარონ ადგილობრივ მცხოვრებნი და გაიჩინონ თავიანთი სამშობლო"-ო. აი რასაც სწერს ომეგა აფხაზეთის კომუნისტებზე! საწყალ ფედერალისტს მთავრების და საფეოდალობის დრო ელანდება; მაგრამ ჩვენ ურჩევთ ომეგას, იმის შესახებ, თუ როგორ გავს აფხაზეთის კომუნისტები ძველ მთავრებს, დაეკითხოს თავის მეგობრებს თავადებს. ისიც კითხოს თუ როგორ გავს საბჭოთა აფხაზეთი მათ ბრწყინვალე წინაპრების აფხაზეთს? მაგრამ, სამწუხაროდ, ომეგას შორს დასჭირდება წასვლა—ტრაპიზონდში, სადაც „ბრწყინვალე" თავადები თათრულ ყავას მიირთმევენ და მწუხარეთ უცქერიან თავის „სამშობლოს".

რაც შეეხება იმას, რომ აფხაზეთში „სიტყვა ქართულიც კი აკრძალულია ...და სამურზაყანოში აფხაზური ენა უნდა გახადონ სავალდებულოთ", ეს თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა!

შემდეგ „თვითონ" თიდო ლოლუა სწერს: „დღეს მთელი ჩვენი გაზეთის ყურადღება... და მთელი საქართველო მრავალ თვალებს და აურაცხელ გრძნობებს მიაპყრობს ჩვენი სამშობლოს ერთ კუთხეს, რომლის გადაგვარებას ცდილობენ ვოსტორგოვის შეგირდები"-ო. ამ ვაჟბატონს—(ბევრი ქონია მელანი!)—ყალბი პათოსით სურს მიახდინოს ძლიერი შთაბეჭდილება! რა დამოკიდებულება აქვს თ. ლოლუას „მთელ საქართველოსთან"? რაც შეეხება ვოსტორგოვს, თ. ლოლუას ალბათ თავისი ვოსტორგოვების ჯგუფი აქვს. ალბათ, ერთმა მათთაგანმა, რომელმაც დიდი ხანი არაა რაც „საუკუნოთ იყავ ხსენებული" გვიბრძანა, კურთხევა გვიანდერძა თიდო ლოლუას რუსულ ვოსტორგოვებთან საბრძოლველად და თავისი, ქართული ვოსტორგოვების განსადიდებლად.

ჩვენ პატივს ვცემთ დამოუკიდებლობის პრინციპს, მაგრამ აფხაზეთში კი უკარგისიაო, რადგან იქ ავანტიურისტები და უცხო ელემენტებიაო. აი ღერძი, რომელზედაც ტრიალებს თითქმის ყველა წერილები. „აფხაზეთში ქართულ საქმეს (?!) ნაკლები გასავალი აქვს" და სხვა... აფხაზეთის რევკომში 5 წევრია: თიდო—ეშბა, ლაკობა, ფირცხვა, ცაგურია, სვანიძე—თქვენის აზრით ყველა უცხოელებია არა? რაც შეეხება „ქართველების საქმეს"—ჯერ ერთი ქართველიცაა და ქართველიც და მერე, საქმეც და საქმეც: იმ ქართველ სპე-

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მესამე (24 ივნისი)

სხდომას ხსნის ამხ. კოლაროვი, რომელიც აცხადებს, რომ კონგრესი განაგრძობს ამხ. ტროცკის გუშინდელი მოხსენების გარჩევაზე და პირველ სიტყვას აძლევს ამხ. ბრანდტს (პოლონეთი).

ამხ. ბრანდტი აღნიშნავს ძირითად მომენტებს, რომლებიც ანსხვავებს დღევანდელ ეკონომიურ კრიზისს წინანდელ კაპიტალისტურ კრიზისებისაგან. ამავე დროს კაპიტალიზმი ვითარდება ვერსალის ზავის ფარგლებში და საფუძველზე, და იმ დროს, როდესაც ყველა ხელმძღვანელ კაპიტალისტურ წრეებს ლოიდ-ჯორჯის მეთაურობით, მშვენივრათ აქვთ შეგნებული, რომ კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოთ ყველა ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობით, კაპიტალისტები იძულებული არიან განაგრძონ ძალადობის სამხედრო პოლიტიკა, როგორც ამას ჩადის ინგლისი ირლანდიაში და ინდოეთში, საფრანგეთი და პოლონეთი ზემო სილეზიაში. ეს წინააღმდეგობა მკაფიოთ ახასიათებს თანამედროვე კრიზისს, რომელიც იმავე დროს არ შეიძლება გადალახულ იქნეს, მსგავსათ ყველა წინანდელ კრიზისისა, უფრო მაღალ ტეხნიკაზე გადასვლით. საერთო გაღატაკება და კოლონიალურ სიმდიდრის მოსპობა ყოველგვარ შესაძლებლობას აცლის ხელიდან მოსპონ ამგვარათ დღევანდელი კრიზისი. მოსპობილ რეალურ სიმდიდრის მაგიერათ ომმა შექმნა დიდი ფიქტიური კაპიტალი, რომელიც ითხოვს პროცენტების გადახდას, რაც იწვევს აუცილებლობას გამოწურო მუშებიდან რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულება და დასწიო ფართო ხალხთა მასების საცხოვრებელი დონე. კაპიტალისტები, რომლებიც ომის დასრულების შემდეგ იძულებული იყვნენ, რომ გადაერჩინათ თავისი პოლიტიკური ბატონობა, მიეცათ მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღე, გადადიან ახლა შეტევაზე, ვინაიდან არ აქვთ მეტი გზა დანგრეულ მეურნეობის აღსადგენათ, გარდა მშრომელთა მასების ყვლეფის გადიდებისა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ მივცეთ საშუალება კაპიტალიზმს აღორძინდეს პროლეტარიატის ხარჯზე. თუ ამ ბრძოლაშიაც სოციალ-რეფორმისტები და ოპორტუნისტები ბურჟუაზიის მხარეზე იქნებიან, მაშინ ჩვენ გავხდებით არა მარტო პროლეტარიატის კლასიურ ამოცანათა მატარებლები, არამედ ფართო მასების მეტად საარსებო ინტერესების ერთად ერთი დამცველები. კაპიტალიზმის აყვავების შესაძლებლობაზე სიტყვის დაძვრაც კი არ შეიძლება: ის იხრწნება და ილპება და ჩვენთვის საკითხი მდგომარეობს არა წინასწარმეტყველობაში რევოლიუციის ვადაზე, არამედ იმაში, თუ როგორ მოვახდინოთ ის.

ამხ. შვაბი. გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის სახელით ფიქრობს, რომ ამხ. ტროცკისა და ვარგას თეზისები საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას. ეთანხმება რა წარმოების დაცემის ცნობებში, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე წარმოება მიმართულია განსაკუთრებით და მარტო მოგებისაკენ, და არა მცხოვრებთა უზრუნველყოფისაკენ პროდუქტებით. მოგება თავს იყრის ნედლეულობის მონოპოლიურ მფლობელთა ხელში. შემდეგ ამხ. შვაბი აღნიშნავს, რომ თანამედროვე უმუშევარნი არ წარმოადგენენ წინანდელ სათადარიგო არმიას, რომლის ჩათრევა შეიძლებოდა მუშაობაში, არამედ არიან ისეთი ადამიანების კონტინგენტი, რომლებიც განწირული არიან სიკვდილზე და გადაშენებაზე და გადაიქცევიან ლუმპენ პროლეტარიებათ. ამხ. ტროცკიმ გვერდი აუარა საკითხებს ფინანსიურ სახელმწიფო აპარატის შესახებ, რომელიც ძარცვავს ხალხთა მასებს სხვა და სხვა ხრიკების შემწეობით. საკითხებში აუცილებლობის შესახებ ამხ. შვაბი ხედავს შეცდომას. სახელმწიფოს გაკოტრებაში არ არიან დაინტერესებული მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც შეეცდებიან გადარჩნენ გაკოტრებას, რომელშიაც, რასაკვირველია, არც მინისტრებია დაინტერესებული. მსხვილი სახელმწიფონიც კი არ არიან დაინტერესებულნი თავისი მოვალეების კრახში. უფრო დაწვრილებით ამ აზრს დროის გასვლის გამო განავითარებს მეორე ამხანაგი.

დებატებში მონაწილეობას იღებს სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლების მთელი რიგი.

ამხ. რეიხენბახი (გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია) აღნიშნავს, რომ მდგომარეობის სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ თვით კაპიტალიზმი ხედავს რა თავის მდგომარეობის სიძნელეს, ხმარობს ბრძოლის ახალ საშუალებებს და ირჩენს თავს ამ მდგომარეობიდან. საფრანგეთის, ინგლისის და სხვ. კაპიტალისტები დაინტერესებული არიან 25 პროც. გერმანიის საწარმოო დაწესებულებებში, ვინაიდან იქ ჩადებული აქვთ მათ კაპიტალი და ამიტომ შესაძლებელია ამ ქვეყნების ბურჟუაზიის ურთიერთი დაცვა. ამხ. რეიხენბახს რამდენიმეთ გადაჭარბებულათ მიაჩნია წინასწარმეტყველება კონფლიქტის შესახებ ამერიკასა და ინგლისს შორის. მასალები შეთანხმებისათვის გროვდება, მაგრამ შეიძლება გამოინახოს კომპანიები საერთო მოსამოქმედოთ, და ასეთ კომპანიათ შეიძლება გახდეს საბჭოთა რუსეთი. ასე, მაგალითად, ინგლისისა და გერმანიის კაპიტალისტები უკვე შეთანხმდნენ თითქმის რუსეთის საყიდლათ. ეს იძლევა წინადადებას გადამუშავებულ იქნეს თეზისები კომისიაში.

ამხ. პოგანი. (უნგრეთი) აკრიტიკებს ამხ. ტროცკის აზრს კაპიტალიზმის აყვავების პერიოდის შესახებ, ნახულობს ზოგიერთ წინააღმდეგობებს თეზისებში, არ მიაჩნია საბუთად რუსეთის რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის მაგალითი მრეწველობის აყვავების პერიოდში, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სწორეთ კრიზისის მომენტში მოხდა კომუნისტური პარტიების გაზრდა და მუშათა კლასის ილიუზიების დამარცხება. თეზისები, ამხ. პოგანის აზრით, რამდენიმეთ ყურადღებას არ აქცევს სწორეთ დღევანდელი კრიზისის მძიმე ხასიათს. აუცილებელი საჭიროა გავითვალისწინოთ სამოქალაქო ომის როლი. კაპიტალიზმი თავისი სიკვდილის უკანასკნელ დღეებში ღებულობს იმავე სახეს, როგორც ქონდა პირველდაწყებითი დაგროვების პერიოდში, რაიცა გამოიხატება ბურჟუაზიის მისწრაფებაში დაიყვანოს მუშათა კლასის მდგომარეობა იმ დონემდე, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდნენ პროფკავშირებიც კი, ბურჟუაზიის აი ამ შეტევითი პოლიტიკის წინააღმდეგ გამწვავებულ სამოქალაქო ომის პერიოდში უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ბრძოლა.

ამხ. თალგეიმერი (გერმანიის გაერთიანებული კომუნ. პარტია) განსაკუთრებული სიძლიერით ხაზს უსვამს ამხ. ტროცკის აზრს იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიამ არაჩვეულებრივი მოქნილობით შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა და რომ ეს წონასწორობა მეტად დაუდგრომელია. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ მომხსენებელი მეტის მეტად აყენებს წინ ინგლის-ამერიკის დამოკიდებულებათა გამწვავებას, და ამავე დროს სავსებით ვერ აფასებს საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტს. და საერთოთ სოციალურ და იმპერიალისტურ კონფლიქტების გამწვავება არა საკმარისათ ნათლათაა გამოთქმული თეზისებში.

ამხ. ბელი (ინგლისი) ხაზს უსვამს, რომ ბურჟუაზია საერთოდ არ არის დარწმუნებული, მაგრამ მასთან ერთად მზათაა დაეხმაროს ერთი მეორეს. თეზისების ტექსტში, სადაც ნათქვამია უარყოფითი როლზე „კონსერვატიულ ტრედ უნიონების, რომელთა აპარატიც უსირცხვილოთ იქნა გამოყენებული კონტრ-რევოლიუციონურ მიზნების სასარგებლოთ", ის წინადადებას იძლევა შეცვალონ ეს ფრაზა ბელადების გამცემლურ როლზე მითითებით.

ამხ. კლარა ცეტკინი. (გერმანია) საერთოდ ეთანხმება ამხ. ტროცკის მოხსენებას, რომელიც, როგორც ერთგული მოწაფე კ. მარქსისა შეიჭრა სამეურნეო მდგომარეობის მთელ სიღრმეში, და თავის მოკლე აღფრთოვანებულ სიტყვის ბოლოში ამტკიცებს ამხ. ტროცკის აზრს, რომ შეიძლება კიდევ დადგეს ეკონომიური გაუმჯობესობის პერიოდი, მაგრამ ეს მხოლოთ გააძლიერებს ჩვენს შანსებს პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მისწრაფებაში.

ამხ. როი (ინდოეთი) ამბობს, რომ თეზისებში არ არის აღნიშნული კოლონიების მნიშვნელობა, და მიუთითებს, რომ ომის დროს დიდძალი კაპიტალი იქნა შეტანილი კოლონიებში ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან. ამან ხელი შეუწყო ინდუსტრიის განვითარებას კოლონიებში და შექმნა მრავალ მილიონიანი პროლეტარიატი; ამიტომ კოლონია თამაშობს განსაკუთრებულ როლს კაპიტალიზმის უახლოეს განვითარებაში.

ამხ. კენენი. (გერ. გაერთ. კომ. პარ.) ამბობს, რომ ამხ. ტროცკიმ ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია თავის თეზისებში შორეულ პერსპექტივებს საერთაშორისო გამწვავების შესახებ, იმის მაგიერათ, რომ დაწვრილებით შეჩერებულიყო იმ შესაძლებლობაზე, რომელსაც შექნის პოლიტიკური და ეკონომიური პირობები უახლოეს წელში. ის იზიარებს პოგანისა და თალგეიმერის აზრს, რომ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტი გამწვავებული რჩება და მიუთითებს მდგომარეობაზე ზემო სილეზიაში; საკითხი რურის რაიონის შესახებ, როგორც განაპირა ოლქისა, ღიათ რჩება. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ პრობლემებს, როგორც საერთოდ მდგომარეობას კოლონიებში, განსაკუთრებით აზიაში. შემდეგ ის ჩერდება თეზისების იმ ადგილზე, სადაც ამხ. ტროცკი შესაძლებლათ უწოდებს ზოგიერთ ქვეყნების სახელმწიფო გაკოტრებას, და ამბობს, რომ ამ ქამათ ამგვარი გაკოტრება სრულიად წარმოუდგენელია, და მომგებელი იქნებოდა, როგორც მაგალითად გერმანიისთვის, მხოლოდ რევოლიუციის. აუცილებელი საჭიროა განსაზღვრონ უფრო დაწვრილებით და სისწორით პერსპექტივები უახლოეს პერიოდისათვის შემდეგ კონგრესამდე.

თავმჯდომარე ამხ. კოლაროვი აცხადებს, რომ ორატორების სია ამოწურულია და საბოლოო სიტყვას აძლევს ამხ. ტროცკის.

ამხ. ტროცკის უკანასკნელი სიტყვა. ამხ. ტროცკი მოკლე, მაგრამ მოხდენილ სიტყვაში პასუხს აძლევს ყველა ოპონენტებს, რომლებიდანაც საერთოდ არავის არ მოუყვანია სერიოზული საბუთები, რომლებითაც შეიძლებოდა ეკონომიური მდგომარეობის იმ საერთო დაფასების შეცვლა, რომელიც გააკეთა ამხ. ტროცკიმ ამხ. ვარგასთან ერთად მუშაობით.

უპასუხებს რა პირველ ოპონენტს პოლონეთიდან ამხ. ტროცკი ამბობს, რომ ბრანდტი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ ის უფრო მახვილს ენდობოდა ვიდრე სტატისტიკას. მე, ამბობს ამხ. ტროცკი, სწორეთ მიხდებოდა უმეტეს ნაწილად ხმლების, შარვლების და პერანგების აღნუსხვა, ვიდრე მახვილის. რევოლიუციის ნაყოფიერ გამარჯვებისათვის საჭიროა ბასრი მახვილი, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა სტატისტიკაც; განსაკუთრებით უნდა იცოდეს ამხ. ბრანდტმა, რომ სწორეთ სტატისტიკის გამო, სწორეთ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გამოვიანგარიშეთ დისტანციები, უკან წამოვბრუნდით ვარშავიდან. უპასუხებს რა გერმანელ ამხანაგებს ამხ. ტროცკი ამბობს, რომ მშვენივრათ ესმის რა ძალის მნიშვნელობა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, ის ფიქრობს, რომ არ შეიძლება გამოვყოთ სუბიექტიური ფაქტორი (ნება, სურვილი) ობიექტიურ ფაქტორისაგან, ვინაიდან მათი სრული დანაწილება მიგვიყვანს წმინდა ავანტიურიზმამდი, როგორც ეს დაემართათ მემარცხენე [illegible]. ორივე ელემენტების შეერთება დიალექტიკის ძირითადი მოთხოვნილებაა, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტებით და სტატისტიკით დამტკიცების აუცილებლობა. ამხ. ტროცკი ხაზს უსვამს, უპასუხებს რა შვაბსაც, რომ შეუძლებელია დააწყოს ბურჟუაზიამ თავისი წონასწორობა, მაგრამ მაინც ფაქტათ რჩება ის, რომ ბურჟუაზიამ შესძლო შეენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა დანგრეული მეურნეობიდან საშუალებების კიდევ უფრო მეტად გამოწურვის შემწეობით. პურის სუბსიდიებმა, უმუშევრებისადმი სახელმწიფო დახმარებამ და სხვ. აგრეთვე დაეხმარა ბურჟუაზიას შეენარჩუნებინა ხელისუფლება; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანული მარკები, რომლებიც ხელსაყრელათ იყიდება ინგლისში, თან მიაქვს გერმანიის სახლის ნაწილი, ე. ი. ხელს უწყობს გერმანიის მეურნეობის დანგრევას. ამხ. ტროცკი უარყოფს ამხ. რეიხენბახის აზრს, იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთი შეიძლება სულის მოსათქმელათ გახდეს ევროპისათვის, ვინაიდან ის მეტისმეტად დანგრეულია, საბედნიეროთ, იმისთვის, რომ გახდეს ევროპის კაპიტალის „[illegible]" მოქმედების ასპარეზი.

ამხ. პოგანის საპასუხოთ მომხსენებელი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამხ. პოგანმა ვერ გაითვალისწინა საკითხის ისტორიული პერსპექტივა და დამატებით საბუთად მოჰყავს ესპანეთის მაგალითი, სადაც რევოლიუციური მუშათა მოძრაობა განვითარდა სწორეთ რომ მრეწველობის აყვავების პერიოდში. არ უნდა დავივიწყოთ იმის გავლენა, როგორც ფაქტორის, რომელიც სპობს ილიუზიებს, რომელიც იწვევს არა მარტო გაღატაკებას, არამედ მასების შეგნების ამაღლებასაც. მაგრამ რევოლიუციის უმთავრესი ფაქტორი არის, და ის ძლიერია: ეს მდგომარეობის დაუდგრომელობაა, როდესაც თითეული ცალკე მუშა არაა დაიმედებული თავის მდგომარეობაში და თავის უფლებებში; გერმანიაში, წარმოიდგინეთ, კაიზერის დროსაც კი უფრო მეტი ქონდა მუშას გარკვეულობისა და მომავლის რწმენის გრძნობა, ვიდრე ახლა. კალენდარულ მითითების შესახებ კონფლიქტზე ამერიკასა და ინგლისს შორის, ამხ. ტროცკი ამბობს, რომ ის სულ მთლად ამოუშლიდა თავის თეზისებიდან „დაწყევლილ" ციფრს, რომ მას სცოდნოდა, რომ ეს მისცემს საბაბს გაუგებრობისათვის. საერთოდ ამხ. ტროცკი აღნიშნავს რევოლიუციის სამ წყაროს. 1) ევროპის უეჭველი დაცემა, მისი პირველყოფილი მდგომარეობის დაკარგვა, 2) ამერიკის სწრაფი განვითარება, რომელსაც უნდა მოჰყვეს დაცემა და 3) კოლონიების როლი. აზიის კაპიტალიზმი ჩინეთისა და იაპონიის გამოკლებით, არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, მაგრამ რევოლიუციურ მოძრაობის განვითარებაში ექნება დიდი მნიშვნელობა და ჩამორჩენილი აზიის პროლეტარიატი, რუსეთის მსგავსათ, ითამაშებს დიდ როლს თავის ფაქტიურ მდგომარეობასთან შეფარდებულათ და გახდება რევოლიუციონურ ძალების ცენტრი. ხოლო საერთოდ კი, ამბობს დასასრულ ტროცკი, კაპიტალიზმის პირობების განვითარება მიდის ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩვენი რევოლიუციონურ მისწრაფების სუბიექტურ ფაქტორთან, რომელიც არ ნელდება მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობით.

ამხ. რადეკი წინადადებას იძლევა მიიღონ ამხ. ტროცკის თეზისები საფუძვლათ და გადასცენ კომისიაში საბოლოო რედაქციისთვის. ამავე კომისიას მიენდოს გამოიმუშაოს მანიფესტი მთელი მსოფლიო პროლეტარიატისადმი ბურჟუაზიის გალაშქრების დაწყებაზე პროლეტარიატის წინააღმდეგ და მისთვის ერთსულოვან პასუხის გაცემის აუცილებელ საჭიროებაზე.

ამხ. ტროცკი ეთანხმება ამხ. რადეკის წინადადებას შესწორებით, რომ მანიფესტის გამომუშავება გადაეცეს კომისიას ეკონომიური მდგომარეობის შესახებ იმ კომისიასთან ერთად, რომელსაც მინდობილი აქვს ტაქტიკის გამომუშავება.

ამხ. ფრილიხი გერმანიის დელეგაციის სახელით წინადადებას იძლევა გადასცენ ამხ. ტროცკის თეზისები კომისიაში-უკანასკნელის წინასწარ კონგრესთან დაუკავშირებლათ. ეს წინადადება, რომელსაც მხარს უჭერს აგრეთვე შნეიდერიც (შვეიცარია) იწვევს სასტიკ წინააღმდეგობას ამხ. რადეკისა და ტროცკის მხრით, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ არავითარი პრინციპიალური აზრთა სხვადასხვაობა კამათში არ გამოაშკარავებულა, რომ არავის არ წამოუყენებია საწინააღმდეგო სხვა თეზისები.

ამხ. რადეკის წინადადებას კენჭს უყრიან და იღებენ თითქმის ერთხმათ.

სხდომა იხურება ღამის 1 ნახევარ საათზე.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ანგარიშებში შეიპარა შემდეგი შეცდომები: დაბეჭდილია: „ის ნათლათ და გარკვევით აყენებს ბრძოლის ლოზუნგებს" უნდა იყოს: „ის ნათლათ და გარკვევით აყალიბებს"... და სხვ. დაბეჭდილია: „კომ. პარტიამ ფართოდ უნდა მოახმაროს სტრატეგია კლასიურ ბრძოლისათვის" უნდა იყოს: „სტრატეგია—კლასიურ ბრძოლისათვის", დაბეჭდილია: „ნაციონალურ მასშტაბში ჩვენ გადავლახვთ" უნდა იყოს: „ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მასშტაბში ჩვენ გადავლახავთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებს, რომლებიც მოიპოვება დ აბხაზეთში, მართალია კომუნისტები ცდილობენ ლება გადაარჩიონ თავის სა- და წაჩევე „საქმეს“, ხოლო ულდოს მხედველობაში ყავს ი მცხოვრები მშრომელი ი გლეხობა, არ ურჩევ მას მშრომებული შოვინიზმით გა- ლდეს მათ შორის,—მოსალოდნე ირი სასურველი შედეგები მო- ამას.

თვით თხოულობს „პოლიტიკურ სისხლის სამართლის წინაშე, რო- წარსდგებიან აბხაზეთის ავან ტურისტებიო.

ს თვითონ უფრო ესაჭიროება, გორც ცალის მწმებელს, მაგრამ, მლეწით საცოდავი რამ არის, მ არც კი დიოს მისი ასეთი გან იდება რომ საჯაროს წინაშე წა- ო ასეთ ხალხს მხოლოდ „ყურში და წაავლო ხელი და მხეზე მო- იყვანო“.

მართლაც რა სასაცილოა თვით ონტის პირში: „სოციალიზმის და ვოლიუციის დიადი იდეები“!...

ბოლოს საინტერესოა ვიცოდეთ დევ, რომელი „პატრონი“ უნდათ ლონტს და კომპანიას? რა განკუთრებული დამცველობა ესაჭიროებათ მათ?

მაგრამ, თუ ლონტი და კამპანია ულახდილები და გამხედავები იქ ებიან და ბოლომდე დაამთავრებენ ავის დაფარულ აზრებს, ალბათ ტყვიან, რომ საბჭოთა საქართველოშიც ქართველებისათვისაც პატრონია საჭირო.

ფედერალისტებს სისულელეზე კმარა!

ერთად ერთი მოტივი აბხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, იყო ის მოსაზრება, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაქარწყლებულიყო ის შხამი შოვინიზმისა, რომელიც მენშევიკების 3 წლის ბატონობამ შექმნა იქ.

აფხაზეთის მშრომელ ხალხისათვის ეს ფაქტი აშკარავებს, რომ კომუნისტები, საბჭოთა მთავრობა ნამდვილად, საქმით აწარმოებს პატარა ერების თავისუფლებას ფართო მასის ინტერესებიც მოითხოვდა ამას, რადგან რაც უფრო ადრე განთავისუფლდებიან ისინი ნაციონალურ ბრძოლისაგან, მით უფრო ადრე მოკიდებენ ხელს ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლო მომავალში აბხაზეთის მუშების და გლეხების საბჭოთა ყრილობა პირველ ყოვლისა, სალამს და აღტაცებით გაითვალისწინებს იმ აზრს, რომ ქართველ მუშასთან და გლეხთან მჭიდრო კავშირი განამტკიცებს საბჭოთა ძალა უფლებას.

ხოლო, რაც შეეხება იმ ვაჟბატონებს, რომლებიც „პატრონებზე“ ოცნებობენ. მათ სისულელესაც და ცილის წამებასაც საზღვარი აქვს, რომლის გადაცილებას არა სასურველი შედეგი მოყვება ხოლმე.

დ.

სახელმწიფო სტატისტიკა

ა. წ. 4 ივლისს რევკომის მიერ დამტკიცებული იქნა დებულება სახელმწიფო სტატისტიკისა და „დებულება ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციების შესახებ.“. ამით უკვე ეყრება მტკიცე საფუძველი სტატისტიკურ მუშაობას საქართველოში. დებულებაში გატარებულ პრინციპების განსახორციელებლად სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოსათვის უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს ადგილობრივ ორგანიზაციათა ქსელის შექმნა, რის გარშემო წარმოებს დიდი მუშაობა. უკვე მყარდება ურთიერთობა არსებულ სტატისტიკურ დაწესებულებებთან, შეთანხმებითი მოქმედება საუწყებო სტატისტიკასთან და საგრძნობლად აფერხებს მხოლოდ ამ მუშაობას მომზადებულ სტატისტიკოსთა უყოლობა და საპასუხისმგებლო თანამდებობათა აღმასრულებლად და სათანადო თანხის უქონლობა.

ცენსტატსამ თან დაარსდა საგანგებო შტატი სტატისტიკოს ინსპექტორებისა, რომელთაც ევალებათ ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციების ამოქმედება და ხელმძღვანელობა. ახლო მომავალში სტატისტიკის-ინსპექტორები უკვე გაემგზავრებიან სტატისტიკურ ბიუროების მოსაწყობად მაზრებში და ქალაქებში.

ცენსტატსამ ს დაგროვილი აქვს საკმაოდ დიდი და საყურადღებო მასალა, რომელიც აშუქებს საქართველოს ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრების სხვა და სხვა მხარეებს. ცენსტატსამი უკვე შეუდგა საკუთარი დროგამოშვებით ორგანოს გამოცემის მოგვარებას, როგორც ამ დაგროვილ, ისე მიმდინარე მასალის გამოსაქვეყნებლად: რედაქტორად მოწვეულია ლ. ასათიანი.

ცენსტატსამთან დაარსებულია საგანგებო სარედაქციო კომისია, რომლის დანიშნულებას შეადგენს სტატისტიკურ წიგნების გამოცემა და სტატისტიკურ ლექსიკონის შედგენა. პირველ რიგში განზრახულია გამოცემა ისეთ წიგნებისა, რომელნიც იქნებიან მისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით ითარგმნება პოპულიარული სახელმძღვანელოები ცნობილ რუს სტატისტიკოსებისა პროფ. კაუფმანის, ვიხლიაევის და სხვა.

ენკენისთვეში ცენსტატსამის მიერ გაიხსნება მოკლე-ვადიანი სტატისტიკური კურსები, რომელთაც ექნებათ მიზნად დასახული პასუხისმგებელ პრაქტიკულ მოღვაწეთა მომზადება უმთავრესად ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ.

ამ ჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ლექტორ ხელმძღვანელებთან.

კაპიტალიზმის სამეფოებში

იაპონია

მუშათა მოძრაობა იაპონიაში.

მოსკოვი, 25 ივლისი. (რადიო). იაპონიაში თვალსაჩინოდ იზრდება მუშათა მოძრაობის ტალღა, გაფიცულთა მთავარი მოთხოვნილებაა: კოლექტიური ხელშეკრულების დადება და კავშირთა აღიარება. ეჩინება სხვა და სხვა წარმოებათა მუშათა შორის მტკიცე სოლიდარობა. შეჯახებანი ხდება შტრეიკბრეხერებთან და შავრაზმელებთან.

ფინეთი

ფინელ მუშების გამარჯვება.

მოსკოვი, 25 ივლისი. (რადიო). ჰელსინგფორსში მანუფაქტურის მუშათა გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ჰუნგრეთი

მონარქიის აღდგენა ჰუნგრეთში.

მოსკოვი, 25 ივლისი. (რადიო). ჰუნგრეთში კვლავ ელიან ყოფილ მეფე კარლ ჰაბსბურგს და მონარქიის აღდგენას. ჰუნგრელი თეთრგვარდიელები გადატრიალებისათვის ემზადებიან.

ესპანეთი

ესპანელთა დამარცხება მაროკოში.

ნაუენი, 24 ივლისი. (რადიო). მადრიდიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, მაროკოში კაბილები დაეცნენ ესპანელთა წინ აღმართულ პოზიციებს მელილის მახლობლად. სასტიკ ბრძოლის დროს ესპანელებმა დაჰკარგეს 100 კაცამდე, დაჭრილთა შორის აღმოჩნდა გენერალი სილვესტრი, რომელმაც, როგორც ხმები დადის, თავი მოიკლა.

ამერიკა

გერმანიისადმი ამერიკის სესხი.

ნაუენი, 24 ივლისი. (რადიო). კაპიტალისტთა სინდიკატმა გერმანიას სესხად მისცა 9 მილიონი დოლლარი, კომერციულ ზღვაოსნობის აღსადგენად.

იუგო-სლავია

კომუნისტები იუგო-სლავიაში

ნაუენი, 24 ივლისი. (რადიო). სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აღმოაჩინა კომუნისტური შეთქმულება, იწვევენ პარლამენტის საგანგებო სესიას კომუნისტების წინააღმდეგ მკაცრ ზომების გამოსატანად.

გერმანია

ახალი გაფიცვა გერმანიაში.

რიგა. პომერანიაში ვრცელდება გაფიცვა სასოფლო სამეურნეო მუშებისა, რომელიც გამოიწვია ხელფასის გადიდების მოთხოვნამ. მოსალოდნელია რომ გაფიცულები შეცვლილი იქნება შტრეიკბრეხერებით და ტექნიკურ მოხალისეთა რაზმებით.

ახალი ომის წინ.

ნაუენი, 24 ივლისი. (რადიო). ინგლისის გაზეთი „დეილი-მეილი“ არკვევს რა მდგომარეობას ზემო-სილეზიაში, ფიქრობს, მოკავშირეთა ერთსულოვნად გამოუკვლელობის გამო ამ ჟამად ახალი ომის საშიშროება ევროპისათვის უფრო დიდად მოსალოდნელია ვიდრე 1914 წელში.

ქრონიკა

— **რკინის გზის ინსპექტორები.** თბილისის კავშირთა უბნის რკინის გზის ხაზი ექვემდებარება პირველ რკინის გზის ინსპექტორს, რომლის მუდმივი სამყოფი ადგილი არის თბილისი; მეორე ინსპექტორს ექვემდებარება — ხაშური—სამტრედია—ბათუმის კავშირთა უბანი, რომლის მუდმივი სამყოფი ადგილი სამტრედია არის.

— **პურის მიცემა უმუშევართათვის.** მუშა ძალების აღმრიცხველ განყოფილების მიერ ივნისის თვის განმავლობაში გაიცა უმუშევრებზე 289 ფუთი 23 ნ.ხ. გირ. პური. ყველაზე მეტის გაცემა მოუხდა განყოფილებას მეთამბაქოეებზე, რომლებისთვისაც გაცემულია 5247 ულუფები 57 ფუთი 26 გირვანქა, ხოლო ყველაზე ნაკლები კი პარიკმახერებზე— 6 ულუფა 3 გირ.

— **სალამო-წარმოდგენა.** დღეს, ტრამვაის მუშათა კლუბში („ტრივოლი“), მუშტაიდის ახლოს, გაიმართება სალამო წარმოდგენა. დადგმული იქნება პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, დრამა 4 მოქმ. მონაწილეობენ სახელმწიფო დრამის ცნობილი მსახიობები.

— შაბათს ამავე კლუბში დანიშნულია საინტერესო სალიტერატურო სალამო-წარმოდგენით.

— **ექიმების მორიგეობა.** ქალაქის ცენტრალური სამკურნალოში (პუშკინის ქუჩა № 10 ტელეფონი 39) დაწესებულია ექიმების მორიგეობა ღამღამობით ხოლერიანი ავათმყოფთათვის დახმარების აღმოსაჩენად. მორიგეობა იწყება საღამოს 8 საათიდან და გრძელდება დილის 8 საათამდე. სხვა დროს კი დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ ხოლერიანთათვის დახმარების მისაღებად როგორც უბნის ექიმებს, ისე, ქალაქ თბილისში მცხოვრებ ყველა ექიმებს.

— **ექიმების ვალდებულება.** ქალაქ თბილისში მცხოვრები ყველა ექიმები როგორც ხაზინურში მყოფი ისე კერძოთ მომუშავენი ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ ხოლერიან ავადმყოფებს სასწრაფო დახმარება.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება.

— **ტფილისის ქალაქის რევკომის განცხადება.** ქალ. ტფილისის რევკომის საინფორმაციო განყოფილებასთან ეწყობა ცნობების მისაღები ბიურო, როგორც დაწესებულებებისა ისე აგრეთვე კერძო პირებისათვისაც, და ამიტომ ქალაქ ტფილისის და მის მიდამოების ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებს დაწვრილებით აღსარიცხავათ, ქალაქის რევკომი წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებათ გამოუკლებლივ, სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ქალაქის რევკომის საინფორმაციო განყოფილებაში (თავისუფლების მოედანი) შემდეგი ცნობები: 1) სახელწოდება დაწესებულებისა სრული თუ შემოკლებული, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე რუსულ ენაზე, 2) №№ ტელეფონებისა და 3) სრული მისამართი.

ქ. ტფილისის რევკომის თავმჯდომარე გეგეჭკორი. საინფორმაციო ქვეგანყოფილების გამგე თარხან მოურავი.

პროვინციაში.

ქ. ოზურგეთი.

1921 წ. 3 ივლისს, ს. ლიხაურში, ოზურგეთის რაიონული კომიტეტის მიერ მოწვეული იყო მიტინგი, რომელსაც დაესწრო, მხოლოდ მშრომელი გლეხკაცობა. მიტინგს ხსნის რაიონულ კომიტეტის სახელით პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ელ. კალანდაძე.

დღევანდელ მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს გურიის კომიტეტის და სამაზრო რევკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. კოწია გურგენაძე და გურიის კომიტეტის წევრი ამხ. არ. ბარამიძე. ორივე ამხანაგები არკვევენ, როგორც მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს, რომლის მეოხებით განადგურდა მშრომელი ხალხის მთელი საუკუნეების მიერ შექმნილი სიმდიდრე და რომელმაც გამოიტანა უმეტესად მუშათა კლასის ნაწილი, ისე რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობას, შინაურ და საგარეო პოლიტიკას საბჭოთა მთავრობისა, პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობას და სხვა. მოხსენებას მიტინგი გულ დასმით უსმენს და მოხსენების გათავებისას ტაშის ცემით აჯილდოებს, ამას შემდეგ გამოტანილ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: მიუხედავათ იმისა, რომ ლიხაურის თემი განიცდის ძლიერ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ომით, რომელიც კიდევ უფრო გაართულა სამოქალაქო ომმა, რომლის სულის ჩამდგმელია საერთაშორისო მტაცებლური კაპიტალი, ბურჟუაზიული სუნით და პსიხოლოგიით გაჟღენთილი მათი იდეოლოგები, რომლის ერთგული დამცველობა იკისრა ევროპაში გაქცეულმა მენშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც გაიტანა საქართველოს მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასი საქონელი, მიუხედავათ ამ საშინელი ღალატისა, ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქართველოში დღეს გაბატონებულია მუშათა—ტვირთმზიდთა ხელის უფლება, ანუ საბჭოთა მთავრობა, რომელიც ერთად-ერთი გამომხატველია მშრომელი ხალხის ინტერესებისა, რომლის წინაშე ლიხაურის ღარიბი გლეხკაცობა მტკიცე სიტყვას ვაძლევთ, გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლებები ბურჟუაზიისა და გამყიდველების მიერ გამოწვეული, და მივიდეთ იმ აღთქმულ კარამდის, რომელიც მისპობს ყოველგვარ ჩაგვრას.

ყარაჩოღელი.

ზემოხეთი (გურია)

თუ ამ ოთხი ხუთი თვის წინეთ ზემოხეთის გაღატაკებულ მუშებს უქადაგებდენ გაკოტრებული მენშევიკები, რომ საქართველოში კომუნისტური საბჭოთა მთავრობის დამყარებას მოყვება ყველაფრის დანგრევა ისე დაც გაღატაკებულ გლეხების ქონების წართმევა, დღეს ამავე გაღატაკებულ მუშებისთვის აშკარა გახდა, არამც თუ წართმევა და დანგრევა პირიქით კომუნისტური პარტიის და რევკომის მეთაურობით ყველა მუშები ერთად გამოდიან შაბათობაზე სამი საათის მუშაობით სახალხო მუშაობისათვის. ეს მეორე შაბათობაა ზემოხეთში, რაც ზეიმურად ტარდება წითელი დროშის ფრიალით. შაბათობაზე შეკეთებულ აქნა: სასწავლებლის ბინა, სამკითხველო, და თემის სამმართველო. აგრეთვე ორი დიდი გასასვლელი ხიდი რომლის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდენ ამავე თემის მცხოვრებლები, რომლის გამო შაბათობის მნიშვნელობა წინდაწინვე იყო ახსნილი და განმარტებული როგორც პარტიაში ისე მოქალაქეებში ამხ. ალექსანდრე კოტრიკაძის მიერ.

ამავე დროს სიხარულით შეიძლება აღინიშნოს მუშაობის დროს სამ წყებად სიმღერა და მასთან ხანგამოშვებით მე 3-მე ინტერნაციონალის, რომლის გათავების დროს დაჰკრეს საერთო ყიჟინა. გაუმარჯოს მომავალ შაბათს და საერთო მუშაობას. ამისათვის იმედს გამოსთქვამს ადგილობრივი კომპარტია თუ წარსულ შაბათობაზე 1500 კაცი იყო მომავალში უფრო გაიზრდება და უფრო მტკიცედ მოეკიდებიან ხელს საერთო მუშაობას. ამავე ზემოხეთში სწარმოებს ყველა ძველი და ახალი პარტიული ამხანაგების ვარჯიშობა, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. დავით ნიკოლაიშვილი (უფროსი ლეიტენანტი). მეცადინეობის დროს დამსწრე მოქალაქეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამის გარდა ზემოხეთის თემში არსებობს სასწავლებლები, ფოსტა, კოოპერატივი, სატელეფონო პუნქტი და სამი სამკითხველო. შეგვიძლია გამოვსთქვათ მწუხარება, რომ ამ ბოლო ხანებში აგერ მესამე კვირაა რაც გაზეთები არ მიგვიღია არც ერთი ნომერი, რომლის უქონლობით ყოველ ცნობას მოკლებული ვართ.

ა. ზემოხეთელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

შრომის სახალხო კომისარიატისა მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებასთან სარკინიგზო სექციათა მოწყობის შესახებ.

მუშაობის განსაკუთრებულ პირობათა გამო და რკინის გზებზე მუშა-ხელის მიზანშეწონილად განაწილებისათვის, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების სექციები დაარსდეს შემდეგ ადგილებში: ტფილისს, ბათომს, სამტრედიასა და ხაშურში, რომელთაგან ტფილისის სექციას, როგორც ცენტრალურს, უშუალოდ დაექვემდებარებიან დანარჩენი.

2. ტფილისის ცენტრალური სარკინიგზო სექცია მოეწყოს, რკინის გზის პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან, ხოლო დანარჩენი რკინის გზის პროფ კავშირის საუბნო გამგეობებთან.

3. მუშაობის დროს ყველა სექცია ვალდებულია იხელმძღვანელოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება-ინსტრუქციებით.

4. სექციის გამგედ უნდა იქნეს რკინის გზის ადგილობრივ პროფ-კავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ტფილისში იმუშავებს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების ხელმძღვანელობით, ხოლო პროვინციაში ადგილობრივ შრომის განყოფილებასთან არსებულ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე განყოფილების ხელმძღვანელობით.

5. სექციებს ევალებათ აღრიცხონ რეგისტრაციით და მუშაობაზე დაგზავნონ მხოლოდ ის სპეციალისტი რკინის გზელნი, რომელნიც რკინის გზელთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის-მიერ შემუშავებულ სიაში იქნებიან აღნუსხულნი.

შენიშვნა: მუშა-მოსამსახურენი, რომელთა პროფესია სიაში არაა აღნუსხული, უნდა გატარდენ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების რეგისტრაციაში საერთო წესისამებრ.

6. სექცია მხოლოდ ისეთ პროფესიათა მუშა-ხელზე იღებს მოთხოვნილებებს, რაც ზემოაღნიშნულ სიაში იქნება აღნუსხული.

7. სექციის საქმე და ანგარიში წარმოებს მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილებათათვის არსებულ საერთო ინსტრუქციის მიხედვით.

8. სარკინიგზო სექციის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხთა განსახილველად და აგრეთვე სექციათა სასწრაფოდ მოწყობისათვის, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში მოწვეულ უნდა იქნეს, ამ დადგენილების მიღებისთანავე, საგანგებო თათბირი მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების ან ქვეგანყოფილების რკინის გზის ადგილობრივ პროფ-კავშირის და რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე და მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილების გამგე მიქაძე

საქმეთა მმართველი მ. შერძნიშვილი

ბრძანება 24.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიმართ.

თანახმად ს. ს. ს. რ. რევკომის მიერ 1921 წ. 4 ივლისის სხდომაზედ დამტკიცებულ „სახელმწიფო სტატისტიკის დებულების“ და ადგილობრივ სტატისტიკურ დაწესებულებათა შესახებ დებულებისა, ვაცხადებ:

1. ადგილობრივ რევკომებთან არსებული ყველა ადგილობრივი სტატისტიკური დაწესებულებანი, გარდა საუწყებო დაწესებულებებისა, ა. წ. 4 ივლისიდან ცხადდებიან ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოებად და იწოდებიან სათანადო სამაზრო და საქალაქო სტატისტიკურ ბიუროებად.

2. არსებული შტატი თანამშრომელთა რჩება ადგილობრივ; სტატბიუროთა გამგენი კი, მათ დამტკიცებამდე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ, რჩებიან სტატბიუროს გამგის თანამდებობის აღმასრულებლად.

3. წინადადება ეძლევათ ყველა სტატბიუროებს სასწრაფო წესით წარუდგინონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობები არსებული შტატის (თანამშრომელთა გვარის, თანამდებობის, და სამსახურის ხანგრძლივობის აღნიშვნით), მუშაობის მიმდინარეობის, თვიური ხარჯთაღრიცხვის და თავის უახლოეს საჭიროებათა შესახებ.

მმართველი გ. გრიგორიანი

საქმეთა მმართველი ზ. კლდიაშვილი.

20 ივლისი 1921 წ.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ხოლერა.

(მოკლე მიმოხილვა)

ხოლერა მწვავე ინფექციური ავათმყოფობაა. მისი სამშობლო ინდოეთია, სადაც მას მუდმივი (ენდემიური) ხასიათი აქვს.

1817 წ. იფეთქა მეტად მწვავეთ ხოლერამ ინდოეთში. აქედან ის გადადის მეზობელ ქვეყნებში და ავლებს მუსრს მცხოვრებთ. ხოლერა მეტად მძაფრი და საშიშია მხოლოთ პირველ ორ სამ კვირას, თუმცა ზოგჯერ მაგ. კალკუტაში ის გრძელდება წლობით. თუ ც. დიდი გზები დიდი მდინარეები, ქარავნები,—აი უმთავრესი მიმართულება ხოლერის. ინდოეთიდან ხოლერა გადავიდა ოსტ ინდოეთში, სუმატრაში, კუნძულ მავრიკიაში (1819 წ.) გაჩნდა ჩინეთში, ფილიპის კუნძულებზე, იავაზე (1820-21 წ.) 1821 წ. ის იწყებს მსვლელობას დასავლეთით და ჩრდილოეთით, იჭრება სპარსეთში და არაბეთში 1823 წელს ის ზღვით შეტანილ იქმნა ასტრახანში. 1829 წ. ჩნდება ორენბურგში, 1830 წ. კვლავ ჩნდება მოსკოვში და შემდეგ ვრცელდება მთელ რუსეთში. ხოლერის სიმძაფრეს ხელს უწყობს ამ ხანებში (1831 წ.) რუსეთ-პოლონეთის ომი. ამავე წელს პირველად ეს ეპიდემია ჩნდება ბერლინში ვენაში და ევროპის სხვა დიდ ცენტრებში.

ამ წელს ხოლერის გავრცელება მეტად საშინელ ხასიათს იღებს ჩრდილოეთით-არხანგელსკამდე, სამხრეთით ეგვიპტემდე ის მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. იდება მთელ ოსმალეთის და საბერძნეთის ნაწილს 1832 წ. ეპიდემია პირველად ჩნდება ლონდონში და პარიჟში, შემდეგ ინგლისიდან გადადის ამერიკაში. მხოლოდ 1838 წლიდან ევროპა თავისუფლდება ხოლერისგან მაგრამ 10 წლის შემდეგ ხოლერა კვლავ იდება ევროპას. ინდოეთიდან ის მიდის სპარსეთისა და აზიის ოსმალეთის გზით, აღწევს სირიამდე, ერთ და იმავე დროს იდება კავკასიას და შიდის რუსეთში. 1847-1848 წ. ის აზიიდან იდება ევროპასა და ამერიკას და საშინელ მუსრს ავლებს სახელმწიფოებს. პეტერბურგი, ჰამბურგი, ლონდონი, ნიუიორკი, პარიზი უკვე ხოლერის ბუდეებს წარმოადგენენ ამ წლებში.

ამ ჟამად ხოლერა ხშირი სტუმარია კავკასიის და რუსეთის. ხოლერის ისტორია ამტკიცებს, რომ ევროპაში ხოლერა შემოდის აზიიდან.

ზოგიერთი მკვლევარი ხოლერისა ამტკიცებს, რომ ხოლერის ბაცილების სამშობლო არის მდინარე განგის სამხრეთ ნაწილი, სადაც შტოებს შუა არის დაბლობი მწვავე ნიადაგ მცენარეებით. ეს დაბლობი ხშირად ირწყვება ზღვის ტალღებით და მაღალი ტემპერატურის დროს ეს ალაგი ხდება ყოველგვარ ბაქტერიების აკვნად.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ ხოლერა ყველაზე უფრო მაგრად იდგამს ფეხს იქ, სადაც წყლის ნაკლულობას აქვს ადგილი.

მაგალ., 1870 წ. კალკუტაში წყალსადენების გახსნის შემდეგ სიკვდილით შემთხვევა ხოლერისგან დაიდა ერთი მესამედამდე და ეს ერთი-მესამედი ხვდებოდა ქალაქის სწორეთ იმ ნაწილს, სადაც წყალი არ იყო.

ჰამბურგში 1892 წ. 1000 კაციდან ავათ ხდებოდა ხოლერით 30 კაცი. ჰამბურგის ერთ ნაწილში კი, ალტონაში, რომელსაც თავისი კარგათ გაწმენდილი წყალსადენი ჰქონდა 1000 კაცზე ხოლერით ავათმყოფი მოდიოდა 4 ვანდემსკში—1000 კაცზე მოდიოდა თბილისში მწვავე პერიოდი ხოლერისა თითქმის უკვე გავლილია. ამ წესით ხოლერის მრუდე ხაზი ეხლა უნდა თავქვე მიდიოდეს. მაგრამ თუ ეს არ ხდება, მიზეზი ამისა არის ქალაქის ანტი-ჰიგიენური მდგომარეობა და, უმთავრესათ წყლის უქონლობა, რასაც აუცილებლათ უნდა მიექცეს ყურადღება.

აქვე ვადგენ ზოგიერთ ცნობებს 15 ივლისამდე. პირველი რეგისტრაცია ხოლერისა თბილისში წელს მოხდა 12 ივნისს.

12—20 ივნისამდე ხოლერით ავათ გახდა 14 კაცი.

შემდეგ ხოლერა ასე მიმდინარეობდა:

20 ივნისს—1 კაცი, 21—1, 22—2, 23—6, 24—4, 25—7, 26—9, 27—11, 28—10, 29—14, 30—19.

1 ივლისს—14, 2—12, 3—13, 4—26, 5—22, 6—38, 7—22, 8—32, 9—49, 10—34, 11—24, 12—27, 13—19, 14—15, 15—28, სულ 463 სული.

აქედან გარდაიცვალა ხოლერით 112, თითქმის ერთი მეოთხედი ნაწილი. წესით ხოლერის მსვლელობის ხაზი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ 1 ივლისიდან უნდა აქვე დაშვებულიყო.

პირველ ორ დღეს ეს თითქო ემჩნეოდა, როცა 19 და 12 დაეცა ავათ გახდომის შემთხვევა, მაგრამ მერმეთ საზრდო თან და თან იწევს მაღლა და 9 ივლისს 49 შემთხვევამდე ადის ხოლერის მსვლელობის ხაზი მაღლა იწევს სწორეთ იმ ხანებში, როცა ქალაქში წყლის კრიზისია.

ამიტომ, სტატისტიკური განყოფილება ფიქრობს უნდა იქმნას მიღებული ყოველივე ზომები, რომ ქალაქში დაცულ იქნეს სანიტარია და წყლის საკმაო რაოდენობა მოდენილი, რაც იქნება ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი ეპიდემიასთან ბრძოლისათვის.

თუ ავიღებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ რომელ უბანში რამდენ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამ დროს განმავლობაში მივიღებთ შემდეგ სურათს:

12 ივლისიდან 15 ივლისამდე ავათ გახდა:

1 უბანში—4 კაცი, 2 უბ.—7, 3 უბ.—13, 4 უბ.—20, 5 უბ.—7, 6 უბ.—20, 7 უბ.—18, 8 უბ.—12, 9 უბ.—26, 10 უბ.—15, 11 უბ.—5, 12 უბ.—9, 13 უბ.—2.

გამოურკვეველი, თუ რომელ უბანში გახდა ავათ (აქ უმთავრესათ წითელ-არმიელებია) 305. სულ 463 კაცი.

აქედან ჩვენ დავინახეთ, რომ უმთავრესათ ალაგი ქონია ეპიდემიის გავრცელებას მე-9, მე-4, მე-6, მე 7, მე 10 და მე 3 უბნებში.

ეს სწორეთ ის უბნებია, სადაც ან წყალი ვერ ადის (მე 3, მე-6, მე-7 უბნებში) ან ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან (მე-9, მე-4, მე-6, მე-7, მე-10 უბნები).

გარდა ამისა ალაგი აქვს ავათმყოფობის ფართე გავრცელებისა ისეთ ადგილებში, სადაც მეტის-მეტი მჭიდროობაა, მაგალ. წითელ არმიელებში.

ყველა ეს ცნობები ერთხელ კიდევ გვიმტკიცებენ, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წყლის საკმაოთ მოდენას და ქალაქის სანიტარის. უმთავრესათ ყურადღების ღირსია ის უბნები, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ და სადაც ყველაზე მეტი ადგილი აქვს ეპიდემიის გავრცელებას.

სტატისტიკურ განყოფილების გამგე ა. რუხაძე.

ასლი

ხაზინებს

მიმდინარე თვისა 2 ივლისის თარიღით, № 1541 საინსტრუქტორო განყოფილებამ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა წინადადება მისცა ხაზინებს, დროებით ვიდრე მათი რეორგანიზაცია მოხდებოდეს, დაეწყოთ სახაზინო ოპერაციების წარმოება ძველი წესრიგით, ე. ი. გადასახადების მიღება და მათი კუთვნილებისამებრ ჩარიცხვა და ფულის გაცემა მოქმედ ინსტრუქციათა და საკასო წესდების მიხედვით.

მიუხედავათ ამისა ფინანსთა სახალხო კომისარიატს ცნობა აქვს, რომ ზოგიერთი ხაზინები დღესაც განაგრძობენ სახელმწიფო დაწესებულებისადმი (განსაკუთრებით ადგილობრივ რევკომებისადმი) ფულის გაცემას სახელმწიფო ნაღდი ფონდიდან, ფინანსთა კომისარიატის მიერ სათანადო კრედიტის გაუხსნელად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი, აცნობებს რა ამას ხაზინებს, წინადადებას აძლევს მათ მიიღონ ზომები ზემოთ აღნიშნულ მოწერილობის მტკიცედ შესრულებისათვის და დასძენს, რომ შემდეგში სათანადო კრედიტის უქონლობით ფულის გაცემისათვის დამნაშავის წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი ზომები.

ამ მოწერილობის მიღება დაუყოვნებლივ აცნობეთ საინსტრუქტორო განყოფილებას.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოადგილე ბიბინეიშვილი.

ინსტრუქცია

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ქალ. ტფილისის განტვირთვისათვის

ქალაქ ტფილისის განტვირთვის“ შესახებ ამა 1921 წ. ივლისის 14 თარიღით და 40 №-რით გამოქვეყნებული საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების ასასრულებლად და განსავითარებლად გამოცხადებულ იქნეს საყოველთაო საყურადღებოდ შემდეგი:

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან მოეწყოს ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისია. ზემოხსენებულ დადგენილების მე 4 მუხლში აღნიშნულ წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალება სრულის სისწრაფით განახორციელოს ქალაქ თბილისის განტვირთვა.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების 1 მუხლის თანახმად ქალაქიდან გადასახლებული უნდა იქნენ ის პირნი, რომელნიც დაკავშირებულნი არ არიან ქალაქ ტფილისთან მჭიდრო მოსახლეობით: საკუთრებით— სახლის პატრონობით, განსაზღვრული სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობით და აგრეთვე სამსახურით სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში.

შენიშვნა: ეს მუხლი ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზედაც, რომელნიც მოვლინებული იყვნენ ქალ. ტფილისს და რომელთაც მოვლინების ვადა გაუთავდათ და მათი საქმიანი დამოკიდებულება ტფილისთან შეწყდა.

3. ტფილისიდან გაყვანილი უნდა იქნენ აგრეთვე ყველა ის პირნი, რომელნიც ცხოვრების საშუალებას საზოგადო სასარგებლო შრომით არ პოულობენ, ასეთებად ჩაითვლებიან:

ა) ყველა უქმად მოხეტიალენი და პარაზიტული ელემენტები;

ბ) ყველა, ვისაც არა აქვს განსაზღვრული საქმე;

გ) ის უმუშევარნი, რომელნიც აღრიცხულნი არ არიან შრომის სახალხო კომისარიატის მუშა ხელის საღრიცხვო—საგანაწილებლო ქვეგანყოფილებებში;

დ) ყველა, ვინც არაშრომის შემოსავლით სცხოვრობს.

ე) ვითომდა მოსამსახურენი (ფიქტიური მოსამსახურენი).

ვ) ვითომდა მოსწავლენი (ფიქტიური მოსწავლენი).

4. გაყვანილი უნდა იქნენ ტფილისიდან აგრეთვე ყველა ლტოლვილნი, როგორც არა საზოგადო—სასარგებლო შრომისანი, გარდა იმ პირთა, რომელნიც ქალაქ ტფილისის განტვირთვის დადგენილების გამოქვეყნებამდე, ხელი მიჰყვეს სასარგებლო შრომას ან აღირიცხნენ მუშა ხელის საღრიცხვო-საგანაწილებლო ქვეგანყოფილებებში.

5. ზემოაღნიშნული მუხლების მოქმედება— ქალაქიდან გასვლის შესახებ—არა ვრცელდება იმ უმუშევარ მუშებზე, რომელნიც—განტვირთვის დადგენილების გამოქვეყნებამდე აღირიცხნენ მუშა ხელის საღრიცხვო-საგანაწილებლო ქვეგანყოფილებებში.

6. სახელმწიფოს ზრუნველობის ქვეშ მყოფ ქვრივთ და ობოლთ უფლება აქვთ ქალაქში დარჩენისა.

7. იმ პირთა ოჯახები, რომელნიც ოჯახის მასაზრდოებელნი არიან და რომელნიც სამსახურისა ან სხვა რაიმე მიზეზით ქალაქ ტფილისის გარეშე სცხოვრობენ, ვალდებულნი არიან აღნიშნულ ვადაზე ქალაქიდან წავიდნენ.

8. იმ პირთ, რომლებზედაც ვრცელდება ზემოაღნიშნული მუხლები ქალაქიდან გასვლის შესახებ, და რომელნიც დასტოვებენ ტფილისს განსაზღვრული ვადის გასვლამდე, უფლება აქვთ გაიტანონ თავიანთი მოძრავი ქონება სამისოდ დაწესებული საერთო საფუძვლით. ხოლო იძულებით გადასახლებულთ ნება მიეცემათ გაიტანონ მოძრავი ქონება იმ ნორმების თანახმად, რომელიც შემუშავებული იქნება ცენტრალური კომისიის მიერ.

9. ყოველი მუხლი ქალაქიდან გასვლის შესახებ ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებზე.

10. ქალაქ ტფილისის განტვირთვის ცენტრალურ საუწყებათა შორისო კომისიას უფლება ეძლევა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის ივლისის 14-ს თარიღისა და 40 №-რის დადგენილება შეავსოს და განავითაროს განმარტებებისა, დადგენილებებისა და ბრძანებათა გამოცემის წესით; აგრეთვე-გადასწყვიტოს ყველა გაუგებრობა და დავა, აღნიშნულ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებული; ამასთანავე ცენტრალური კომისიის ყოველი დადგენილება საბოლოოა და გაუსაჩივრებელი (აპელიაციის გარეშე).

11. რათა ქალ. ტფილისის განტვირთვა უფრო ენერგიულად და მიზანშეწონილად იქმნეს განხორციელებული, —მოეწყოს,—სარაიონო კომისარიატების რიცხვის მიხედვით,—განსაკუთრებული საკონტროლო კომისიები,—სამის წევრისაგან: კომუნისტური პარტიის სათანადო რაიონისა, პროფესიონალურ კავშირთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თითო წარმომადგენლისაგან შემდგარი. ეს კომისიები მოქმედებენ ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით და სრული უშუალო კონტროლის ქვეშ.

12. ცენტრალურ კომისიას უფლება აქვს—გამოიყენოს ქალ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის მთელი სამოსამსახურო—ტექნიკური აპარატი და სახლების კომიტეტები, —ხოლო სადაც ესენი „არ არიან— მათი „მოადგილე ორგანოები—და ფართოდ ჩააბას იგინი საქმეში—სხვა და სხვა მინდობილების დაკისრებით —თავისი გადაწყვეტილებისამებრ. ეს ორგანოები ვალდებულნი არიან გადაუხვევლად, სწორედ და მყისიერად შეასრულონ ცენტრალური კომიტეტის ყოველი განკარგულება, დადგენილება და ბრძანება.

13. ცენტრალური კომისია მისთვის დავალებული საქმის მარჯვედ განხორციელებისათვის — მოახდენს აუცილებელ შემთხვევაში,—საგანგებო კომისიისა, მილიციისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საშუალებით,— მცხოვრებლების შესახებ ცნობების შემოწმებას სახლებში, ჯგუფურ მომწყვდევას (ობლავა) და გაჩხრეკას.

14. ყველა სახელმწიფოებრივი ხასიათის დაწესებულებას და ორგანიზაციას სასტიკ მოვალეობად ჩაეთვლება—ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიის მოთხოვნილებათა ასრულება; ხოლო საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და ცალკე მოქალაქენი—ამ მოთხოვნილებათა აუსრულებლობისათვის მიიცემიან მკაცრ პასუხისმგებლობაში სარევოლიუციო დროის კანონის მიხედვით.

15. ცენტრალურ კომისიას ჰყავს კანცელარიის მოსამსახურეთა საჭირო შტატი,—განტვირთვის მუშაობასთან დაკავშირებული საქმის საწარმოებლად და სათანადო შემადგენლობა კონტროლიორ ინსტრუქტორებისა, რომელთა რიცხვს თვით კომისია განსაზღვრავს.

16. ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისიის ყველა საჭირო ხარჯი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებიდან უნდა დაიფაროს.

შინ. საქმ. სახ. კომისარი კვირკველია.

1921 წ. ივლისის 25.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 - 58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9 - 52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სხვა და სხვა

ამით გაცნობებ სანახობითი ნაწილში შემავალ მთელი რესპუბლიკის დაწესებულებათა, მსახიობთა, მომღერლთა და საერთოდ სათეატრო მოღვაწეთა საყურადღებოდ, რომ წესიერების დასაცავათ და ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ მათი საქმეების გამო მუდამ უნდა მიმართონ ჩემდამი რწმუნებულ ნაწილს და არა სხვა რომელიმე უმაღლეს დაწესებულებას.

სახ. განათლ. კომისარიატის სანახობითი ნაწილის გამგე შ. დადიანი.

მთავარ სახელოვნო კომიტეტის მდივანი შ. აფხაიძე.

— ვაცხადებ ჩემდამი რწმუნებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტში შემავალ მთელ რესპუბლიკის დაწესებულებათა და ხელოვანთა საყურადღებოდ, რომ მათი საქმეების გამო უნდა მომმართონ პირადათ მე ან სახელოვნო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს და არა სხვა რომელიმე უმაღლეს დაწესებულებათ.

მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გრ. რობაქიძე.

მთავარ სახელოვნო კომიტეტის მდივანი შ. აფხაიძე.

სასურსათო ყრილობის დღის წესრიგი

საორგანიზაციო საკითხები.

ა) ურთიერთობა სამაზრო სას. კომტ. ბთან და თემის რევკომებთან.

ბ) სამაზ. სას. კომ. ები, რწმუნებულები და ინსტრუქტორები.

გ) მუშათა კოოპერაციის სამსაყურკომები და სასურკომები.

დ) მუშათა კოოპერაციის მნიშვნელობის საკითხები.

ე) კოოპერაციის და მისი რაიონულ კავშირების მოწვევა დამზადების საქმეში.

სტატისტიკის საკითხები.

ა) მომხმარებელთა აღრიცხვის ორგანიზაცია.

ბ) დამზადების სტატისტიკის ორგანიზაცია.

გ) მოსავლის და ნახნავების სტატისტიკის ორგანიზაცია.

დ) ფასების სტატისტიკის ორგანიზაცია.

ყრილობის წესდება.

§ 1. ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს 1) რევკომის წარმომადგენლები, 2) სასურსათო თათბირის წევრები, 3) სახ. სას. კომ. ტის წარმომადგენლები, 4) საზ. სას. კომისრები, 5) სახ. სახ. სას. კომ ტის რწმუნებულები და 6) ინსტრუქტორები და 7) საზ. სას. კომ-ების სტატისტიკოსები.

§ 2. ყრილობას ხსნის სახ. სას. კომისარი, რის შემდეგ ირჩევა ყრილობის პრეზიდიუმი, შემდგარი ხუთი კაცისაგან.

§ 3. ყრილობის მუშაობა სწარმოებს პლენარულ სხდომებსა და სექციებში.

§ 4. მოხსენება ადგილებიდან, სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირისა და სასურ. გადასახადის შესახებ მოხსენებების მოსმენის შემდეგ ყრილობა ირჩევს სამ სექციას: სამაზრო სას. კომსების, რწმუნებულების და სტატისტიკოსების.

§ 5. ადგილებიდან მოხსენების დროთ ყოველ მაზრას ეძლევა 15 წუთი სხვა მოხსენებების დრო განუსაზღვრელია.

§ 6. რომელიმე საკითხის შესახებ მოლაპარაკეს ეძლევა: პირველათ 10 წუთი, მეორეთ 5 წუთი.

§ 7. პლენუმში მხოლოდ საერთო-კამათი სწარმოებს, საკითხების დეტალური განხილვა სექციებში ხდება.

§ 8. ყრილობა სამი დღე მუშაობს.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სახელმწიფო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).